2016 წელს დაგეგმილი მართლმადიდებლური კრების შესახებ

2016 წელს მართლმადიდებელ ეკლესიაში დაგეგმილია დიდი და წმინდა კრების მოწვევა. ასეთივე კრების ჩატარებას გეგმავდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო 1930 წელს წმინდა ათონის მთაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით 1926 წელს არქიმანდრიტმა ფილოთეოს ზერვაკოსმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც დღესაც მნიშვნელოვანია, რადგან ეხმიანება იმ პრობლემატიკასა და საკითხებს, რომლებიც 2016 წელს დაგეგმილი კრების დღის წესრიგში არიან შეტანილნი.

გთავაზობთ არქიმანდრიტ ფილოთეოს ზერვაკოსის წერილის თარგმანს.

* * *

„1925 წლის 31 დეკემბრის წმინდა კრების #23 საბუთში ჩვენ ვიხილეთ სხვადასხვაგვარი საკითხები, რომლებიც წამოაყენეს მსოფლიო კრებაზე განსახილველად. ეს კრება მომავალში ათონის წმინდა მთაზე უნდა შედგეს. თითქმის ყველა ეს საკითხი, რომელთა შესახებაც მსოფლიო საპატრიარქო საუბრობს, მოციქულთა, მსოფლიო თუ ადგილობრივი კრებების წმინდა და საღმრთო კანონებით არის განხილული. თუკი თანამედროვე წმ. მამებს ამაში ეჭვი ეპარებათ, მაშინ მათ გულდასმით და ყურადღებით უნდა გამოიკვლიონ საღმრთო კანონები და ეკლესიის წმინდა პიდალიონი[1]. ასე რომ, ვფიქრობთ, სავსებით აზრს მოკლებულია მსოფლიო კრების მოწვევა იმ საკითხების გამო, რომლებზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილებები და ღვთაებრივი მოციქულების, ღვთივგანბრძნობილი მამებისა და ეკლესიის უდიდესი მოძღვრების მიერ დადგენილია წმიდათაწმიდა კანონები. გარდა ამისა, თუ კონსტანტინოპოლის პატრიარქი, მისი სინოდი და ზოგიერთი სხვა იერარქიც თვლიან, რომ ეკლესიაში რეფორმების გატარებისა და სიახლეების შემოტანის უფლებამოსილებას ფლობენ, უკვე აქედან უეჭველად გამომდინარეობს ის, რომ მათ რაღაც ძალზე სახიფათო აქვთ განზრახული, რითაც საკუთარ თავსაც საფრთხეში იგდებენ და ქრისტეს ეკლესიის სისავსესაც ზიანს აყენებენ.

კრება, რომელიც კვალდაკვალ არ გაჰყვება მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, არამედ, პირიქით, მათ შეცვლასა და რეფორმაციას შეეცდება, ვერასოდეს მოიპოვებს ავტორიტეტს და ვერასდროს მიიღებს კანონიერი კრების, ანდა მსოფლიო კრების სახელწოდებას. „ჭეშმარიტი, კანონიერი მსოფლიო კრება არასოდეს გაქელავს არც ერთ

[1] პიდალიონი (ბერძნ. გემის საჭე) - ეკლესიის წმ. კანონებისა და მათი განმარტებების კრებული, შედგენილი წმ. ნიკოდიმოს მთაწმინდელისა და მღვდელმონაზონ აგაპის მიერ.

დადგენილ კანონს, არასოდეს ასწავლის მათგან რაიმე განსხვავებულს; ის უკვე დადგენილის წინააღმდეგ სხვას აღარაფერს დაადგენს და არავითარ სიცრუეს არ შემოიტანს, ის მხოლოდ ხანგრძლივ ბრძოლას ეწევა“ (წმ. მარკოზ ეფესელი). ცრუ მსოფლიო კრების სახელი და კვაზიავტორიტეტი[2] მოიპოვა კონსტანტინე კოპრონიმოსის დროს ხატთაყვანისცემის წინააღმდეგ გამართულმა ვლაქერნის კრებამ და, ასევე, ფლორენციის კრებამ. იგივე ბედი ეწევა იმ კრებასაც, რომლის ჩატარებასაც ათონის წმინდა მთაზე აპირებენ. კოპრონიმოსის დროს მოწვეულ კრებას ბილწი ეწოდა და მასში მონაწილე მღვდელმთავრები VII მსოფლიო კრებამ განკვეთა, ხოლო ფლორენციის კრება დღემდე ცრუკრების სახელითაა ცნობილი. ეს უკანასკნელი დაამხო და მისი გადაწყვეტილებები უარყო ერთადერთმა მიტროპოლიტმა - უწმინდესმა მარკოზ ეფესელმა.

დავუშვათ, რომ დაგეგმილმა მომავალმა კრებამაც მიაღწია თავის მიზანს და მისთვის სასურველი კანონები დაადგინა; დავუშვათ, ამ დადგენილებებს ყველა უსამღვდელოესი მღვდელმთავარიც დაეთანხმა და, ამრიგად, მათ შეცვალეს მართლმადიდებელი ეკლესიის კალენდარი - I მსოფლიო კრების განწესება პასქალიის შესახებ, რაც, ანტიოქიის კრების თანახმად, განკვეთით ისჯება; ვთქვათ, გააუქმეს, ან შეცვალეს წმ. მოციქულებისა და მამების მიერ დადგენილი მარხვა და სიახლეები შეიტანეს ამ საიდუმლოებებშიც; მაგრამ, იქნება კი ასეთი კრება ჭეშმარიტი? დარჩება კი მისი გადაწყვეტილებები შეურყეველი? განა ქრისტიანები პატივს მიაგებენ ამგვარი კრების განჩინებებს? - არა მგონია! და თუ ეს მამები პატივს არ სცემენ და არად აგდებენ ღვთაებრივ მოციქულთა გადაწყვეტილებებს, წეს-კანონებსა და ტრადიციებს, ითვალწუნებენ წმ. მამათა დადგენილებებს, მაშ, თავად მათ ვინღა მიაგებს პატივს?! ვინ იქნება ისეთი მართლმადიდებელი, - თუკი მას წმინდა მამების მიმართ სულ მცირეოდენი რწმენა და კეთილკრძალულება გააჩნია, - რომ ასეთ კრებას ცრუკრება არ უწოდოს? მაგრამ ზემოხსენებული კრების დადგენილებებმა ხალხის ცოდვების გამო კიდევაც რომ შეიძინონ ძალა, მაინც არ დააყოვნებს და უეჭველად ჩატარდება სხვა, კანონიერი კრება, რომელიც ანათემას გადასცემს ამ თავყრილობას, რათა ის კრების სახელით აღარც კი იწოდებოდეს: ზუსტად ისევე, როგორც VII მსოფლიო კრებამ დაგმო ხატმბძოლები, ხოლო წმ. ფოტის დროს გამართულმა კრებამ კი - ლათინები.

მოდით, ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა უნდა იღონოს პატრიარქმა ბასილმა თავის სინოდთან და სხვა იერარქებთან ერთად, რათა მათ თავიანთი სიახლეებით ქრისტეს ეკლესიაში მღელვარება და შფოთი არ შემოიტანონ, არ გახლიჩონ, არ განყონ იგი, და ღვთისა და ადამიანების რისხვა არ დაიტეხონ თავს. ჩვენის აზრით, მომავალ მსოფლიო კრებაზე უეჭველად უნდა განიხილონ შემდეგი საკითხები:

1). რათა განიკვეთონ და აეყაროთ ხარისხი იმ მღვდელმთავრებსა და კლირიკოსებს, რომლებმაც ცხადად ან ფარულად აღასრულეს სასიკვდილო ცოდვები, რითაც მათ, საღმრთო

[2] კვაზი - მოჩვენებითი, არანამდვილი.

და წმინდა კანონების მიხედვით, თვითონვე წაართვეს საკუთარ თავს მღვდლობის უფლება, რამეთუ წმ. ბასილი დიდისა და სხვა ღვთაებრივი მამების შეხედულების თანახმად, ქრისტეს ეკლესიას სწადია, რათა მღვდლები უმანკონი და წმინდანი იყვნენ. ამრიგად, სამღვდელო დასის წევრებს წმინდა კანონების შესაბამისად უნდა დაესხათ ხელი, და ისინი არამარტო განათლებულები, არამედ სათნოებებით შემკულნი, თავშეკავებულნი, უბიწონი, სარწმუნოებისა და წმიდა მამათა ტრადიციების ერთგულნი და მტკიცე დამცველებიც უნდა იყვნენ.

2). რათა განკვეთილ და განკითხულ იქნან მცონარებაში მყოფი ის ეპისკოპოსები და მღვდლები (თუ არ გამოსწორდებიან), რომლებიც არ იღვწიან და არ ქადაგებენ ღვთის სიტყვას, არ მოძღვრავენ თავიანთ სამწყსოს, არამედ საკუთარი ფარა მგლებისთვის ჰყავთ მიგდებული.

3). რათა განკვეთილ იქნან ის მღვდელმთავრები, რომლებიც დიდმარხვასა და ოთხშაბათ-პარსკევის მარხვებს ახსნილებენ, რითაც ეწინააღმდეგებიან მოციქულთა 69-ე კანონს. ეს კანონი მოგვიწოდებს: „თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დიაკონმა, კერძოდიაკონმა, წიგნისმკითხველმა, ან მგალობელმა წმინდა ორმეოცი ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხოს, განიკვეთოს, თუ ხორციელი უძლურებით არ იყოს შეპყრობილი. თუ ერისკაცი იყოს, უზიარებლობით დაისაჯოს.“

4). რათა განიკვეთოს ის, ვინც წმინდა კანონებსა და წმინდა ტრადიციებს უგულებელყოფს, როგორც ამას მოითხოვს კონსტანტინე პორფიროგენეტის დროს გამართული კონსტანტინოპოლის კრების შემდეგი დადგენილება: „მას, ვინც უგულებელყოფს იმას, რაც განსაზღვრულია წმინდა და საღმრთო კანონებით, რომელნიც განამტკიცებენ ეკლესიას და განაშვენებენ ქრისტიანულ მოქალაქეობას, მიჰყავთ რა იგი ღვთაებრივი კეთილკრძალულებისკენ, - ანათემა!“ V მსოფლიო კრებაც იმპერატორ იუსტინიანესადმი მიწერილ წერილში შემდეგს განაწესებს: „წმინდა მამათა დადგენილების თანახმად, სიკვდილის შემდეგაც უეჭველად ანათემას გადაეცნენ ისინი, ვინც სარწმუნოების ან წმინდა კანონების მიმართ სცოდავს.“ ნახე, საყვარელო, რა შემაძრწუნებელი სიტყვებია! ხოლო VII მსოფლიო კრება თავის საქმეებში შემდეგს განაჩინებს: „მას, ვინც უარყოფს წერილობით ან ზეპირ გარდამოცემას, - ანათემა!“

5). მათ, ვისაც მართლმადიდებელ ეკლესიაში სიახლეები და ახალი წესები შემოაქვს, VII მსოფლიო კრების პირველი დადგენილების თანახმად, აეყაროთ ხარისხი ანდა ანათემას გადაეცნენ.

6). რათა აღდგეს საეკლესიო კალენდარი იმ სახით, როგორც ის წმინდა მამებმა გადმოგვცეს.

აი, რა არის აუცილებელი, საჭირო და სასარგებლო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის და სათნო - ღვთისთვის. ხოლო როდესაც სიახლეები შემოაქვთ და წმინდა, ღვთაებრივი კანონების რევიზიას იწყებენ, ამით შფოთს, მღელვარებას, უთანხმოებას, ჩხუბს, მტრობას, სიძულვილსა და სხვადასხვა სახის ბოროტებას თესავენ, რასაც თან უეჭველად ღვთის რისხვა მოჰყვება.

„რამეთუ სადა არს შური და ხდომაჲ, მუნ შფოთი და ყოველი ბოროტისა საქმე“, - ამბობს იაკობ მოციქული.

ზუსტად ამგვარადვე, პასექისა და სხვა დღესასწაულების დასაკანონებლად, წმინდა მღვდელმთავრებს არ მართებთ მზის, მთვარისა და სტიქიების - ქარებისა და წყლების შესახებ ბჭობა. ეს მათი ღირსებისთვის შეუფერებელია. დაე, ყოველივე ამით ასტრონომები და ფიზიკოსები დაკავდნენ. ეს ყველაფერი მათ გადავცეთ, როგორც მეცნიერებს, მაგრამ არა იმიტომ, რომ თითქოს ისინი სრულყოფილნი და უზადონი იყვნენ, ანდა მათ წმინდა მოციქულებზე და წმინდა მამებზე მეტ უპირატესობას ვანიჭებდეთ. ღვთაებრივმა მოციქულებმა წინასწარ განჭვრიტეს ამ წმ. კანონებიდან განდგომა და, სურდათ რა, ეკლესია და მღვდელმთავრები დაეცვათ ამ სიახლეებისგან, თავიანთი წმინდა კანონების ბოლოსიტყვაობაში საჭიროდ მიიჩნიეს დაეწერათ: „ეს კანონები განწესებულია ჩვენს მიერ თქვენთვის, ო, ეპისკოპოსნო, ხოლო თქვენ თუ ამას დაიცავთ, ცხონდებით და მშვიდობა გექნებათ, ხოლო თუ ეურჩებით, დაიტანჯებით და მუდმივი ბრძოლა გექნებათ ერთმანეთში და ურჩების შესაფერისი სასჯელიც დაგედებათ.“ VII მსოფლიო კრება კი თავის I კანონში შემდეგს განაცხადებს: „... გავიხაროთ ამით, როგორც დიდძალ ტყვეთა ხელში ჩამგდებმა. მხიარულებით განვმტკიცდებით საღმრთო კანონებში და ყოველმხრივ შეურყევლად განვამტკიცებთ იმ კანონების განწესებას, რომლებიც დასხმულნი არიან სულის საყვირთა, ყოვლადქებულ მოციქულთა, წმინდა მსოფლიო კრებებისა, განჩინებების დადგენისათვის შეკრებილი ადგილობრივი კრებებისა და წმინდა მამების მიერ, ვინაიდან ერთი და იმავე სულის მიერ იყვნენ ყველა ისინი განათლებულნი და დაადგინეს, რაც უმჯობესი იყო. ვინც მათ შეაჩვენეს, ჩვენც შევაჩვენებთ, ვინც განკვეთეს - ჩვენც განვკვეთთ, ვინც უზიარებელ ყვეს, უზიარებელ ვყოფთ, ვინც განაკანონეს, ჩვენც აგრეთვე განვაკანონებთ მათ ...“

აი, ამგვარი გახლავთ წმიდათაწმიდა კანონებისა და საღმრთო ტრადიციების შესახებ ღვთაებრივ მოციქულთა და წმ. მამათა დადგენილებები. ახლა კი პატრიარქს, უფალ ბასილს, მარხვებთან დაკავშირებით საკუთარი კანონების შექმნა განუზრახავს და აცხადებს - დღეს ახალი, ჩვენთვის მისაღები კანონები უნდა შევქმნათო. ისინი ამბობდნენ, რომ „არა არს სასუფეველი ღმრთისაჲ საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა“, და რომ „მარხვა, მღვიძარება და ლოცვა ზეციური ნიჭების მომატყვებელნი არიან“, - ჩვენ კი შევქმნით ისეთ კანონებს, რომ თავისუფლად ვთქვათ: ჭამეთ და სვით, ნუ იმარხულებთ და ნურც მორჩილებას გასწევთ ... და სასუფეველი ღმრთისა - ეს არის საჭმელ და სასუმელ! ნუ ივლით მარხვის იწრო და საჭირველი გზით, არამედ ტკბობისა და განცხრომის ფართო და ვრცელ გზაზე იარეთო. ქებას შეგასხამთ თქვენ, წმინდანო მამანო!!! ჩვენო, ამბობს პატრიარქი ბასილი, დავაკანონებთ არა იმგვარ კალენდარსა და პასექს, როგორც ეს I მსოფლიო კრების სამას თვრამეტმა ღმერთშემოსილმა მამამ დაადგინა და შვიდმა მსოფლიო და სხვა

ადგილობრივმა კრებებმა შეუცვლელად შემოინახეს, არამედ ისეთს, როგორიც მოგვესურვება ჩვენ და თანამედროვე ასტრონომებს, თანამედროვე მეცნიერების შესაბამისად.

ამ ვითარებაში ისღა დაგვრჩენია, რომ ან ჭეშმარიტებას და ღვთისმოსაობას გულჩათხრობილი დუმილი ვამჯობინოთ, შიშისა თუ კაცთმოთნეობის გამო, ანდა განვაცხადოთ მსგავსად აიაქსისა, ტროას ომში რომ მიმართავდა არგოსელთ: „სირცხვილი არგოსელებს!“ იმ დროს, როდესაც ჩვენი სარწმუნოება გამალებით იბრძვის შიდა თუ გარეშე მტრებთან, იმ დროს, როდესაც საბერძნეთის საზოგადოებაში უსჯულოება, სიხარბე და სხვადასხვა ვნებები მძვინვარებენ, როდესაც ის სრულ მოდუნებასა და გულგრილობას მოუცავს, - ყოვლადუწმინდესი პატრიარქი სინოდის ზოგიერთ წევრთან ერთად ზის და მზესა და მთვარეზე, ბუნების სტიქიებზე (ქარებსა და წყლებზე) ბჭობს. კამათობს კალენდარსა და პასქალიაზე, მარხვასა და ყველა იმ საკითხზე, რომელთა შესახებაც წმ. მოციქულებმა და ღმერთშემოსილმა მამებმა უკვე დაადგინეს კანონები, რათა ისინი შეუძვრელად და უცვალებელად დარჩნენ. მათი დამარხვა და ზედმიწევნით შესრულება უდიდეს აუცილებლობას წარმოადგენს, მაშინ როცა, მათი უგულებელყოფა ყოვლად გაუმართლებელი და ზიანის მომტანი გახლავთ, ვინაიდან ის უსარგებლო პაექრობას, კამათებს, ბრძოლას, მტრობას, უთანხმოებებს, შურსა და ძვირისხსენებას იწვევს, საბოლოოდ კი განხეთქილებები და ერესები შემოაქვს.

ჩვენ კი, უმეცარნი და არაბრძენნი, მომავალი კრებისთვის მეტად საჭიროდ მივიჩნევთ, რათა ყოველივე ეს მსჯელობის საგნად იქცეს. ვიღაცა, ბრძენი და განათლებული, თვლის, რომ ეკლესიის სასიკეთოდ და მისი იკონომიისთვის სხვა რამ არის აუცილებელი და სასარგებლო. ამას განსჯით, ღვთის შიშითა და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ვამბობ. ასევე მართებულად მიგვაჩნია, რომ ამ საკითხის განხილვას ხელი უნდა მიჰყონ და საკუთარი აზრი გამოთქვან არამარტო მღვდელმთავრებმა, არამედ მღვდლებმაც, არქიმანდრიტებმა, მღვდელმონაზვნებმა, ბერებმა, ერისკაცთაგან - სათნოებებით შემკულმა ღვთისმეტყველებმა, დოგმატებში განსწავლულმა ადამიანებმა, სარწმუნოების, წმ. კანონებისა და ტრადიციების ქომაგებმა და თავგამოდებულმა დამცველებმა. და, ამრიგად, ერთსულოვნებით, მშვიდობით, სიყვარულითა და თავმდაბლობით სწორედ მათ აზრს მივანიჭოთ უპირატესობა, ვინაიდან სწორედ ის იქნება თანხმიერი ჩვენი ეკლესიის კანონებისა და ტრადიციებისა. I მსოფლიო კრებაზე არიოზის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს არა პატრიარქებმა და ეპისკოპოსებმა, არამედ უბრალო დიაკონმა, სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკმა ათანასემ და გაუნათლებელმა და თავმდაბალმა სპირიდონმა. ასეთი რამ სავსებით შესაძლებელი გახლავთ, რადგან თუკი კრებაზე მხოლოდ მღვდელმთავრები შეიკრიბებიან, ისინი სრულიად მარტონი აღმოჩნდებიან და, ცხადია, საკითხებსაც თვითონვე წამოაყენებენ და საკუთარი ვნებების მოთხოვნილებისამებრ შესაბამის კანონებსაც თავადვე დაადგენენ, მსგავსად ძველი ბერძნებისა,

თავიანთი ვნებების სადარ ღვთაებებს რომ ქმნიდნენ და ამით საკუთარ მიზნებს ანხორციელებდნენ.

სამწუხაროდ, არიან ისეთი ეპისკოპოსები და სამღვდელო დასის სხვა წევრები, რომლებიც არც კი დაფიქრებულან იმაზე, რომ ცხონების მოსაპოვებლად მარხვის, მღვიძარებისა და ლოცვის გზით სიარულია საჭირო. ამიტომ საკმარისია, ყური მოჰკრან რაიმეს მარხვასთან დაკავშირებით, რომ უმალვე მღელვარება იპყრობთ და მისი გაუქმების სურვილი ეუფლებათ. ასეთები, ცხადია, თუკი საამისოდ რაიმე საშუალება იარსებებდა, თვით ხელდასხმის შემდეგაც კი არ იტყოდნენ უარს ქორწინებაზე. ხოლო რაკი რესტორნებსა და კაფეებში სიარულიც სწადიათ, ამიტომ გრძელი თმები და ანაფორაც აწუხებთ და მათ შეცვლასა და გაუქმებასაც ესწრაფვიან. სწორედ ამ მიზეზთა გამო პატრიარქებს, მღვდელმთავრებსა და მღვდლებს უთუოდ ესაჭიროებათ კანონიერი კრება, რათა ისინი, როგორც დამპალი ასოები, მოჰკვეთონ ეკლესიას და განაგდონ. მსოფლიო და ადგილობრივი კრებები ქრისტეს სამწყსოდან ხომ განასხამენ გადამდები სნეულებით დაავადებულ მგლებსა და მკრეხელ ერეტიკოსებს, მათ ნაცვლად კი ნამდვილ მწყემსებს დაადგენენ, რომელნიც ღირსებითა და ჭეშმარიტებით დამწყემსავენ თავიანთ ფარას. სამღვდელოება მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით აღიწევა მისთვის შესაფერ სიმაღლეზე, რაც განაბრწყინვებს კიდეც ღვთისმოსაობას და მართლმადიდებლობასაც მთელს ქვეყნიერებაზე განფენს.

თქვენ ნამდვილად არ ცდებით, ძვირფასო ძმებო! დღესდღეობით ასერიგად აღზევებული უსჯულოებისა და ერის ხალხის მხრიდან სამღვდელოების ამ შესამჩნევი ათვალწუნების მიზეზი მართლაც ის კლირიკოსები არიან, სიახლეებით გატაცებულნი იესო ქრისტეს ეკლესიაში რევიზიას რომ აწყობენ და ახალ წესებს ნერგავენ. ეს ბატონები საჭიროებენ ამ სიახლეებს, ვინაიდან ჩვენი ეკლესიის წეს-ჩვეულებებს, კანონებსა და ტრადიციებს არ მისდევენ და სამღვდელოებაში განხეთქილება შემოაქვთ. ხოლო რაკი მათ უღირსად განვლეს მღვდლობის სარბიელი და აწუხებთ ანაფორა, გრძელი თმა, მარხვა, ლოცვა, წმინდა წერილის კითხვა და თვით ეკლესიაც კი, - აი, რას გვთავაზობენ: მოდით, თავიდან მოვიცილოთ ეს ეკლესიური იერსახე, რათა ხალხს ღვთის გმობის მიზეზი არ მივცეთ და მათი მხრიდან ღირსეულ და სათნო მოძღვართა სიძულვილი და დაცინვა არ გამოვიწვიოთ. ბოლოს კი შევქმნით აზრს, რომ ჩვენ ისეთივე მოწყალენი ვართ, როგორც ღმერთი.

მათ, ვინც ათონის წმ. მთაზე გამართულ მომავალ მსოფლიო კრებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს, წინასწარ მართებს მომზადება და იმ საკითხების შესწავლა, რომელთა განხილვასაც ამ კრებაზე აპირებენ. მართებს ასევე, რომ კრებამდე სინანულით, აღსარებით, მარხვითა და ლოცვით განიწმინდოს თავი, განსაკუთრებით კი - გულწრფელი აღსარებით, ვინაიდან, სამწუხაროდ, მღვდელმთავრების უმრავლესობა არასოდეს ამბობს აღსარებას. ასე ემზადებოდნენ კრებებისთვის წმ. მოციქულები და წმინდა მამები და მათზე ყოვლადწმიდა სული გადმოდიოდა. თუკი მომავალი კრების წევრებიც ასე მოიქცევიან, მათზეც გარდამოვა

სულიწმიდა და კრებაც კანონიერი იქნება და ყველა მართლმადიდებელი მიიჩნევს მას წმინდა კრებად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ შეისწავლიან საკითხებს და მოუმზადებელნი და განუწმენდელნი მიბრძანდებიან კრებაზე, მაშინ ეს კრება ცრუ და არაკანონიერი იქნება და მის დადგენილებასაც არავინ მიიღებს.

არქიმანდრიტი ფილოთეოს ზერვაკოსი
1926 წელი“.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, იხილეთ ჩვენი წიგნი „VIII მსოფლიო კრება - განდგომილებისა და ავაზაკთა კრება. . .“ თბილისი, 2010წ. თავი IV.
(http://www.religia.ge/Papisa_da_BarTlomes_antimarTlmadidebluri_qmedebani.pdf)